



აჭაბუგო ნორთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები და მასალათმცოდნეობა

Technology and Materials Science of the Special Textile

ქუთაისი

2011

1. **პროგრამის საახელწოდება:** სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები და მასალათმცოდნეობა
2. **უმაღლესი განათლების საფეხური:** მესამე საფეხური (დოქტორანტურა)
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორი  
Doctor of production engineering and technology
4. **პროგრამის მოცულობა:** 180 კრედიტი (1 კრედიტს შეესაბამება 25 საათი)  
მათ შორის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს;  
კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტს.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** *მაია შარაბიძე* – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.  
**საკონტაქტო ინფორმაცია:** აწსუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ქუთაისი, ახალგაზრდობის პრ. №98; ტელ: (+995 31) 22-03-33. მობ: 599 67 44 10  
ელ.ფოსტა: [mackrine@mail.ru](mailto:mackrine@mail.ru)

**5. სწავლების ენა:** ქართული

- 6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად პიროვნებას
- უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია);
  - უნდა ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში B2 დონეზე ან წარმოადგინოს სათანადო ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.
- პროცედურა განსაზღვრულია აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <http://www.atsu.edu.ge>). პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აწსუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს“ დებულებით.

**7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**  
**აქტუალობა**

დღევანდელი მსოფლიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროსათვის დამახასიათებელია არნახულად მაღალი ტექნოლოგიურობის ხარისხი და ეს პროცესი კვლავაც ვითარდება და გრძელდება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ნათლად იკვეთება მეცნიერებისა და მეცნიერებატაევადი ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია. სწორედ ეს განაპირობებს მსოფლიოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაზე გაწეულ სოლიდურ ხარჯებსა და თავად მუშაობის არნახულ ტემპებსა და ინტენსივობას.

უკანასკნელ ათწლეულებში ტექსტილმა, გარდა ტრადიციული მისი გამოყენების სფეროებისა (სამომხმარებლო და საყოფაცხოვრებო), ფართო გამოყენება ჰპოვა ისეთ მიმართულებებში, როგორცაა მშენებლობა, ტექნიკა, კოსმოსი, თავდაცვა და უშიშროება, მედიცინა, გარემოს დაცვა და ა.შ. ამიტომ მსოფლიოში პრიორიტეტული და პოპულარული გახდა ე.წ. „ჰკვიანი ტექსტილის“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს სპეციალური, მრავალფუნქციური ტექსტილის ტექნოლოგიებზე მუშაობას. გარდა ამისა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, კულტურათა დიალოგის ფარგლებში, მნიშვნელოვანია ტრადიციული და ეროვნული საგანძურისა და ღირებულებების კვლევა მათი გადარჩენა-შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

ნებისმიერი სახელმწიფოს ინტერესებშია ქვეყანაში არსებული სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება არ ჩამორჩენს პროგრესს და საკუთარი წვლილი შეიტანონ თანამედროვე კვლევების, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში.

**პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი, კრეატიულად და ინოვაციურად მოაზროვნე დამოუკიდებელი მეცნიერ-მკვლევარი სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიებში, რომელიც დაუფლებულია პედაგოგის უნარ-ჩვევებს და პირადი ცხოვრებითა და მოღვაწეობით საზოგადოებაში ამკვიდრებს მაღალ მოქალაქეობრივ, პროფესიონალურ და ზოგად-ჰუმანურ ღირებულებებს.

პროგრამის ამოცანებია მისცეს დოქტორანტს მიმდინარე თანამედროვე კვლევებსა და მიღწევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნა სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური ტექსტილის (გაუმჯობესებული ან სპეციფიკური სამომხმარებლო თვისებების მქონე საყოფაცხოვრებო, ტექნიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური, ეკოლოგიური, ჰიგიენური, კოსმეტიკური, დეკორატიულ-მხატვრული და ა.შ.) შემუშავებისა და შექმნისათვის ახალი, ორიგინალური, ინოვაციური ტექნოლოგიებისა (მექანიკური, ქიმიური) და გადაწყვეტილებების, ტექნოლოგიური პროცესების დროს მიმდინარე ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური ან ქიმიური მოვლენების არსისა და მათი სიღრმისეული ანალიზის, სპეცტექსტილის დასამზადებლად საჭირო ახალი ან მოდოფიცირებული მასალებისა და კომპოზიტების, შემუშავებული სპეციალური ან ტრადიციული ტექსტილის თვისებების შეფასებისა და კვლევის მეთოდების შესახებ, რათა მიღებული ცოდნის საფუძველზე მან დამოუკიდებლად შეძლოს კონკრეტული სპეციალური ტექსტილის შემუშავებისა და კვლევისათვის ექსპერიმენტების დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა ახალი ან მოდიფიცირებული მასალებისა და კომპოზიტების შექმნის, ტექნოლოგიური გადასვლების, რეჟიმებისა და სქემების დამუშავების, მოწყობილობების ან კონსტრუქციების სრულყოფის ან შექმნის მიზნით.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს, დოქტორანტის სურვილის შესაბამისად, ცოდნის გაღრმავებასა და სპეციალიზირებას შემდეგი მიმართულებით:

- კონცენტრაცია: სპეციალური ტექსტილის მექანიკური ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები,
- კონცენტრაცია: სპეციალური ტექსტილის ქიმიური ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები,
- კონცენტრაცია: მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები დეკორატიულ-მხატვრული ტექსტილის მასალათმცოდნეობასა და დიზაინში.

**დასაქმების სფეროები:**

დოქტორანტურის კურსდამთავრებული არის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სპეციალური დარგობრივი ცოდნით, სათანადო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სწავლების პროცესის წარმართვისა და განხორციელების პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ამიტომ მას შეუძლია წარმატებული საქმიანობა:

- სხვადასხვა საკუთრების ფორმის მქონე მსხვილ და მცირე დარგობრივ საწარმოებში, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნოლოგს;
- პროფესიულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში აკადემიურ ან სამეცნიერო თანამდებობებზე.

**8. სწავლის შედეგები:**

სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორის კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების მესამე საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

კრიტერიუმები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის	გააჩნია უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა სპეციალური ტექსტილის შემუშავებისა და დამზადების, მისი თვისობრივი და ხარისხობრივი კვლევის უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების, ასევე დამზადებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების, დარგის განვითარების პერსპექტივებისა და მიმართულებების, ახალი

	დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.	პროდუქციის შემუშავებისა და რეალიზაციის შესაძლებლობებისა და თავისებურებების სფეროში, რაც ცოდნის გაფართოების, ხელახალი გააზრების, ნაწილობრივ გადაფასებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით შეძენილი და დაგროვებული ცოდნის ფარგლების ხელახალი გაცნობიერების საშუალებას აძლევს.
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.	შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა ახალი ან მოდიფიცირებული მასალებისა და კომპოზიტების შექმნის, ტექნოლოგიური გადასვლების, რეჟიმებისა და სქემების დამუშავების, მოწყობილობების ან კონსტრუქციების სრულყოფის ან შექმნის გზით სპეციალური ტექსტილის შემუშავებისა და კვლევისათვის, რაც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებში. დაუფლებულია პედაგოგიური საკმიანობის უნარ-ჩვევებს, თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და ტექნოლოგიებს და შეუძლია სხვადასხვა საფეხურზე სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელება.
<b>დასკვნის უნარი</b>	ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.	შეუძლია კვლევის პროცესში მიღებული ახალი შედეგების ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების სამეცნიერო წრეებში არსებულ შეხედულებებთან და ახალ მონაცემებთან მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთკავშირში გააზრება-გაანალიზება და პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე	შეუძლია კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებზე შეძენილი და დაფუძნებული ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში

	საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.	დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა ზეპირად მშობლიურ ენაზე და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვისას უცხოურ ენაზე, ასევე წერილობით სამეცნიერო პუბლიკაციებში.
<b>სწავლის უნარი</b>	უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.	შემენილი გამოცდილებიდან და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე შეუძლია საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლება-სრულყოფა, ასევე სხვადასხვა საფეხურზე სწავლებისა და კვლევითი მუშაობის პროცესში საინტერესო და ეფექტური მეთოდების შეთავაზება.
<b>ღირებულებები</b>	ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური გზების შემუშავება.	ქვეყნის ძლიერებისა და უსაფრთხოების, ასევე საზოგადოების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის საფუძვლად მიიჩნევს განათლების მაღალ დონეს, რისთვისაც აქტიურად ეწევა საუნივერსიტეტო, განათლების, ასევე ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოჩენას ახალგაზრდობასა და საზოგადოებაში. სამეცნიერო-კვლევით პრაქტიკაში ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერების, პატიოსნების, ობიექტურობის, სამართლიანობისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

№	კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	მეცნიერების ფილოსოფია	X	X	X	X		
2	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	X	X		X	X	X
3	პედაგოგიური პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
4	ინტელექტუალური საკუთრება და მისი მართვა	X	X				X
5	ტექსტილის კვლევის მეთოდები	X	X	X			X
6.1	კონცენტრაცია: სპეციალური ტექსტილის მექანიკური ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები	X	X	X		X	X
6.2	კონცენტრაცია: სპეციალური ტექსტილის ქიმიური ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები	X	X	X		X	X
6.3	კონცენტრაცია: მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები დეკორატიულ-მხატვრული ტექსტილის მასალათმცოდნეობასა და დიზაინში	X	X	X		X	
7	სადოქტორო სემინარი I	X	X	X	X	X	X
8	სადოქტორო სემინარი II	X	X	X	X	X	X
9	დისერტაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა		X	X	X		
10	დოქტორანტის კოლოქვიუმი		X	X	X	X	
11	სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X

## 8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სტუდენტისათვის სწავლების პროცესის ისეთი ორგანიზებით, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროგრამის თავისუფალი შერჩევის უფლებას;
- საუნივერსიტეტო და სპეციალობის მოდულის საბაზისო კურსების დაუფლებას;
- პედაგოგიური პრაქტიკის გავლას შესაბამისი პროგრამის ქვედა საფეხურებზე სასწავლო პროცესში მონაწილეობით.

პროგრამის განხორციელებისას აპრობირებული და დანერგილია სწავლების ტრადიციული ფორმები-ლექცია, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა, რომლებზეც გამოიყენება სწავლების აქტიური მეთოდები: დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია, კვლევითი ჯგუფი, პრეზენტაცია.

## 9. დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწლსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწლსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

## 10. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიებისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებით) დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. პროგრამა აერთიანებს სასწავლო (60 კრედიტი) და კვლევით კომპონენტებს (120 კრედიტი), რომლებიც თავის მხრივ, იყოფა ცალკეულ ელემენტებად. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 180 კრედიტის განაწილების სქემა განისაზღვრა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 30 აპრილის №75 (10/11) დადგენილებით.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების სრულყოფას, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის შეძენას, ტრანსფერირებადი უნარების

განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში.

**სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა**

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების საერთო რაოდ.	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით					
				I	II	III	IV	V	VI
<b>I. სასწავლო კომპონენტი</b>									
<b>საუნივერსიტეტო კურსები</b>									
1.	მეცნიერების ფილოსოფია	სავალდ.	5	5					
2.	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდ.	5		5				
3.	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდ.	5			5			
4.	ინტელექტუალური საკუთრება და მისი მართვა		5		5				
<b>სპეციალური კურსები</b>									
5.	ტექსტილის კვლევის მეთოდები	სავალდ.	5	5					
6.	1. კონცენტრაცია: სპეციალური ტექსტილის მექანიკური ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები	არჩევითი	15	15					
	2. კონცენტრაცია: სპეციალური ტექსტილის ქიმიური ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები								
	3. კონცენტრაცია: მიმდინარე კვლევები და უახლესი მიღწევები დეკორატიულ-მხატვრული ტექსტილის მასალათმცოდნეობასა და დიზაინში								
7.	სადოქტორო სემინარი I	სავალდ	10			10			
8.	სადოქტორო სემინარი II	სავალდ	10				10		
	სულ სასწავლო კომპონენტი	სავალდ.	60	25	10	15	10		
<b>II. კვლევითი კომპონენტი</b>									
9.	დისერტაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა	სავალდ.	15			5	5	5	
10.	დოქტორანტის კოლოქვიუმი	სავალდ.	45		15		15	15	
11.	სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სავალდ.	60	5	5	10	10	10	20
	სულ კვლევითი კომპონენტი		120	5	20	15	30	30	20
	სულ სასწავლო გეგმით		180	30	30	30	40	30	20

სემინარების თემატიკის დაზუსტება მოხდება შესაბამის სემესტრებში სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სასწავლო კომპონენტების აღწერა მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ელემენტების აღწერა:

დისერტაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა.

ა) კონფერენცია. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მოხსენების წარდგენა სამეცნიერო ფორუმზე, რომლის შესაბამისი კრედიტების ათვისებაც დასტურდება შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნებით კონფერენციის შრომების კრებულში და მისი წარმოდგენით;

ბ) სტატია. დასრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მოცემულია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა და რომელიც გამოქვეყნებულია შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ სამეცნიერო გამოცემებში. ამ უკანასკნელის წარმოდგენით დასტურდება შესაბამისი კრედიტის ათვისება;

დოქტორანტი კოლოქვიუმი.

კოლოქვიუმის ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის პერიოდული შეფასება და მონიტორინგი. კოლოქვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს (სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს) წარუდგენს კოლოქვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს.

შესაძლებელია ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეგზავნოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს ან დარგის აღიარებულ სპეციალისტებს.

დოქტორანტის III კოლოქვიუმის ფორმატში ხდება სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვა-აპრობაცია დეპარტამენტში.

შესაბამისი კრედიტის ათვისება ხდება ნაშრომის შეფასებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 785 2009 წლის 21 სექტემბერი და აწსუ-ში მიღებული შეფასების სისტემით (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 35(11/11 2010 წლის 10 ნოემბერი).

სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა

აღნიშნული კომპონენტი აერთიანებს შემდეგ ძირითად აქტივობებს:

- საჭირო ლიტერატურის მოძიება/დამუშავება - 100 სთ;
- სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით კვლევა-ძიების განხორციელება - 300 სთ.
- დისერტაციის ექსპერტიზა - 50 სთ
- სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვა-აპრობაცია დეპარტამენტში - 250 სთ.
  - დისერტაციისათვის საბოლოო სახის მიცემა - 200 სთ
  - დისერტაციის ფორმატირება და ტექნიკურად გამართვა - 48 სთ.
  - დისერტაციის აპრობაცია - 2 სთ.
- ავტორეფერატის მომზადება და დაბეჭდვა - 200 სთ.
- დისერტაციის რეცენზირება - 100 სთ.
- დისერტაციის დაცვა - 200 სთ.

გარდა აღნიშნულისა, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება-დაცვასთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციები;

- დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის ფორმირება;
- დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან შეხვედრები და კონსულტაციები;
- სხვადასხვა სამეცნიერო შეხვედრებში და ფორუმებში მონაწილეობა;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ექსპერიმენტის ჩატარება;
- კვლევის შედეგების ეკონომიკური თუ სოციალური ეფექტის შეფასება;
- კვლევის შედეგების დანერგვა და ა.შ.

### 11. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი დიზაინის, ტექსტილისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ტექნოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო აუდიტორიები, სართავ-საქსოვ-სატრიკოტაჟო ლაბორატორია, ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია, საფეიქრო მასალათმცოდნეობის ლაბორატორია, კომპიუტერიული ბაზა, ინტერნეტი. ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, კვლევების ნაწილი განხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კვლევით ლაბორატორიებში, როგორცაა აწესი კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის ლაბორატორია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიები, სამხატვრო აკადემია, შპს „დინას“ წარმოება.

### 12. პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი

გვარი, სახელი	აკადემიური თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
თამარ მოსეშვილი	ასოცირებული პროფესორი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,	ტელეფონი 8(431)243127 595 51 84 55 e-mail: tamarmoseshvili@ramble.ru
მაყვალა გოგოლაძე	ასოცირებული პროფესორი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,	ტელეფონი: 8 (431) 24 98 52; 599516144 e-mail: tamta_ge@yahoo.co.uk
ემირ ბაკურაძე	სრული პროფესორი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,	ტელეფონი:8-(431)24-60-33; 5-79-15-19-19;
ზინაიდა ვადაჭკორია	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ტელეფონი:8(431)-24 15 29; 598 60 50 67 e-mail: zinavadachkoria@mail.ru
მაია შარაბიძე	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი	ტელეფონი: 8(431)-27 80 89; 599 67 44 10 e-mail: mackrine@mail.ru mackrine@hotmail.com
მანანა ბანძელაძე	აკადემიური დოქტორი	ტელეფონი: 8431 248062, 593 323 460 e-mail: manochiteishvili@gmail.com
იმერი ბასილაძე	პედაგოგიური ფაკულტეტის, პედაგოგიკის დეპარტამენტის, სრული პროფესორი	ტელეფონი: (8431) 41314 (სახლის) (8431) 40516 (სამსახურის) 899 380330 (მობილური) ელ. ფოსტა: i.basiladz@mail.ru
არჩილ გეგუჩაძე	აკადემიური დოქტორი	ტელეფონი: 8431 265230, 555 308 308 e-mail: archigon@ymail.com